დაგეგმილი სამუშაოების ზოგადი აღწერა.

დაგეგმვა ითვალისწინებს არსებული შენობა ნაგებობების ინტერიერის ნაწილის რეკონსტრუქციას, სარემონტო/მოსაპირკეთებელ სამუშაოებს და საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობას.
სარეკონსტრუქციო შენობები წარმოადგენს შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს ავტოგასამართი სადგურების ქსელში არსებული მაღაზიების რეკონსტრუქციას, კომპანიის მიერ შემუშავებული და მიღებული სტანდარტების შესაბამისად.
უშუალოდ სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს თანდართული პროექტის შესაბამისად (იხ. თანდართული პროექტები).
თანდართული პროექტები ითვალისწინებს, სადემონტაჟო/სარეკონსტრუქციო სამუშაოებს.
ტიხრების სამშენებლო, იატაკის, ჭერის და კედლების მოსაპირკეთებელ დეტალებს.
გამოყენებული მასალების სპეციფიკაციას და ტიპს.
საინჟინრო სისტემების წერტილების და ადგილმდებარეობის განსაზღვრას.

ელექტროობის ნაწილში კონტრაქტორს ევალება პროექტში მითითებული წერტილების შესაბამისად განსაზღვროს ელექტრომომარაგების სამუშაოს შესასრულებლად ყველა საჭირო კომპონენტი, კაბელი, კაბელის ტიპი, ელეტქრო ფარის მოწყობა და ა.შ) შემდგომ კი სქემატური დიზაინის სახით წარუდგინოს დამკვეთს საბოლოოდ დასადასტურებლად.

წყალმომარაგების ნაწილში გათვალისწინებულია ყველა წერტილში ცივი წყლის მიყვანა. ცხელი წყლის მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკვების მომზადების ზონაში არანაკლებ 6kw სიმძლავრის გამდინარე წყლის ელექტროგამაცხელებლის მეშვეობით. კონტრაქტორს ევალება წარუდგინოს დამკვეთს პროექტში მითითებული წერტილების შესაბამისად წყალმომარაგების დაქსელვის და საჭირო მასალების (მათ შორის ელექტროგამაცხელებლის) განსაზღვრა.

საკანალიზაციო ქსელის ნაწილში მითითებული წერტილების და საორიენტაციო ქსელის გეგმის შესაბამისად კონტრაქტორმა უნდა გასაზღვროს გამოსაყენებელი მასალებისა და საჭირო სამუშაოების მოცულობა.
ყველა საინჟინრო გადაწყვეტა რომელსაც მიიღებს კონტრაქტორი უნდა პასუხობდეს შესაბამის ნორმებს და სტანდარტებს გამართულად მუშაობისთვის.

დაგეგმვით გათვალისწინებულია 5 ობიექტის სარეკონსტრუქციო სამუშაოები:
ლოტი N1 - ბენზინგასამართი სადგური N2 ქ.თბილისის, აღმაშენებლის ხეივანი, №228 (ს.კ. 01.72.14.014.066);
ლოტი N2 - ბენზინგასამართი სადგური N3 ქ.თბილისში, მარცხენა სანაპიროზე, დიდუბის სექტორი(ს.კ. 01.13.05.004.043);
ლოტი N3 - ბენზინგასამართი სადგური N5 ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი, ფონიჩალის ხიდის მარცხენა მხარეს (ს.კ. 01.19.17.002.013);
ლოტი N4 - ბენზინგასამართი სადგური N15 ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი, II გაჩერება (ს.კ. 01.19.21.001.002);
ლოტი №5 - ბენზინგასამართი სადგური №19 ქ.თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი, №169 (ს.კ. 01.10.05.027.001).

დაგეგმილი სამუშაოების დეტალური აღწერა.
კონტრაქტორი კომპანიის მიერ ჩასატარებელი სამუშაოები ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს.

1- სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება და ნარჩენი მატერიალების გატანა. დემონტაჟს ითვალისწინებს ტიხრები, იატაკი, ჭერი და ინტერიერის ნაწილის არაკონსტრუქციული ელმენტები (კარი, სანტექნიკის დეტალები და.შ.)

გარე პერიმეტრის კედლები ნარჩუნდება, აგრეთვე უნდა მოხდეს გარე პერიმეტრის კედლების მოპირკეთების შენარჩუნება იმ მონაკვეთებში სადაც დაგეგმვით არ იცვლება მასალები და წყობა. (არსებული პროექტის შესაბამისად)

2- დემონტაჟის შემდგომ უნდა მოხდეს ჭერის კონსტრუქციის შეფასება და შესაბამისობის დადგენა დიზაინ კონცეფციით გათვალისწინებული მასალების შესაბამისობაზე.

3-საინჟინრო სისტემების იმ ნაწილის მოწყობა რაც გასათვალისწინებელია ტიხრების და სხვა სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4- პროექტის მიხედვით გათვალისწინებული ტიხრების მოწყობა.

5- საინჟინრო კომუნიკაციების (ქსელების) მოწყობა.

6- პროექტის მიხედვით გათვალისწინებული ჭერის მოწყობა.

7- პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იატაკის მოწყობა.

8-პროექტის მიხედვით გათვალისწინებული შიდა კარების მოწყობა.

9-პროექტის მიხედვით გათვალისწინებული კედლის მოპირკეთება.

10- სხველი წერტილის კომპონენტების მოწყობა (ხელსაბანი, უნიტაზი, შემრევები, ტრაპები).

11-ელექტროობის წერტილების მონტაჟი (განათება, როზეტები, ჩამრთველები).